სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №221

ქ. ბათუმი 12 ივნისი 2017 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი თავმჯდომარის - სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,თენგიზ თებიძე" წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ თებიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი - 50110000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელმა 2017 წლის 19 ივნისის ჩათვლით აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ ავტომობილზე ვიანო (მერსედესი) სახელმწიფო ნომრით MP-220-PM, უნდა უზრუნველყოს უკანა ამორტიზატორის შეცვლა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი)ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებით.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირებია:

ა) სულხან ღლონტი - დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ბ) კობა წულაძე - ადმინისტრაციული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კობა წულაძე - ადმინისტრაციული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	*შპს „თენგიზ თებიძე“*
ს/კ - 245427809	*საიდ. კოდი - 245439814*
ტელ: 0422 27 47 19	*ტელ: 596 559696; 599 557624*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	*იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. N1, ბინა N41;ფაქტიური მის: ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი ქ.N50*
	საბანკო რეკვიზიტები:
	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
	ბანკის კოდი – UGEBGE22.
	ა.ნ. № GE18VT5500000013493602
დეპარტამენტის თავმჯდომარე	*დირექტორი*
/ბულბულ ლომინტაძე/ ბ.ა.	*/თენგიზ თებიძე/ ბ.ა.*